უხილავი წიგნის პოეტიკა

THE POETICS OF AN INVISIBLE BOOK





ის უნივერ
გარნა აზრ
ამ რომ მზა
ურ შეკითხ
ედებიან ჩვ

და მერიქიფენი იმ მხიარულ დღ
ქამ ისე გაანათა ცა, რომ შორ
ჭექა-ქუხილი ეგონათ.
ისინი იყვნენ შემსწრე ყოვ
ქვეყრთა ახდისა და ახლა ესწრებ
სურათს. აქ არ მთავრდებაო, ი
კი, გაივლის წელიწადი ამ დღი
დალაქს, მოიპარსავს სამღვდეე
გარეთ, თალხს განჯინაში დასტ
ქორწინდება, რაც ახალ ცხოვრ
ჰაი, რომ ვინც კი იტყოდა ამას,
აღიარებდა, რომ არა სცნობია თ
მთელ ამ გამოყოლებაზე ყვე
თოდ გაჭრილი სამარე, ქალისა
სათვის, რომლებიც ამიერიდან
ბოდნენ იმ სამოთხეშიაც, დიდხა

რომ ძოძავალი იგი ახყმოსა
იგი მას ვერ ეწია;
მე ვარ ალაგი თქვენთა საქ
ოლო თქვენ – მოქმედნი ა
მე ვარ ღივილი, ხოლო თქვ
ფქლისანი;
მე ვარ შეხვედრა, ხოლო თ
მე ვარ შიმშილი დაუოკებელ
ნახად მსხდარნი და მჭამე
მე ვარ ტკივილი და სალმო
ერუნჩხვად მყოფნი და დავ
მე ვარ დუღილი, ხოლო თქ
როგორც ყურძნის ჩაწნეხილ
მე ვარ დუმილი, ხოლო თქ

ცრემლებს – თვალებ
ეს, ალბათ, უფრო ზა
შეიძლება არის ზამთ
ან – გაზაფხული,
ან – შემოდგომა,
ან – წელიწადის ყვე
ერთი სიტყვით, ახლა
ერთი სიტყვით, ახლა

პროექტის ავტორები მადლობას უხდიან
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროს
მხარდაჭერისთვის

Special thanks to the
Ministry of Culture, Monument Protection and Sport of Georgia
for supporting the project

პროექტის ავტორები:
ანა მგალობლიშვილი
დათო ბარბაქაძე

პროექტის კოორდინატორი
ვანდა მუჯირი

PROJECT BY:
ANNA MGALOBLISHVILI
DAVID BARBAKADZE

PROJECT COORDINATOR
VANDA MUJIRI

Hobby GALLERY

გამოფენის თანადამფინანსებელია
გალერეა **ჰობი**

თბილისი 2004

უხილავი წიგნის პოეტიკა

ევროპულ და ამერიკულ ხელოვნებაში და ხელოვნების კრიტიკაში უკვე ჩაცხრა კამათები პოსტმოდერნული ესთეტიკის გარშემო და ნელ-ნელა იკვეთება პოსტ-პოსტმოდერნულ ტენდენციებზე დებატები. თვალშისაცემია, რომ ხელოვნებაში ძლიერდება და წამყვან ადგილს იკავებს არა პოსტმოდერნული ორიენტაცია ისტორიული ენების მარაგზე და მისი ათვისების ამოუწურავ შესაძლებლობებზე (რაც უკვე დიდი ხანია ჩვეულებრივი საქმეა ხელოვნებაში), არამედ — უამრავ სახელოვნებო ენასა და თუნდაც დარგებს შორის შეხვედრის ხელოვნება; მცდელობა იმისა, რომ ხელოვნების სხვადასხვა დარგებში მომუშავე ადამიანებმა ერთმანეთს უპრეტენზიოდ, გულწრფელად გაუზიარონ თავიანთი შინაგანი, ყოველგვარ „-იზმს“ და შკოლარულ დოგმატიკას მოკლებული სულიერი და მხატვრული გამოცდილება, ის შინაარსები, რომლებიც დაგროვდა და შენახულ იქნა მხატვრული ფორმების, სიახლეების, მოდერნისტული და პოსტმოდერნისტული ხელოვნების ნოვატორული მიღწევების კალეიდოსკოპში. და ასეთი მცდელობები ყოველთვის ეძებს იმ ადგილის ფარულ პოეტიკას, სადაც მსგავსი შეხვედრები ხდება.

პროექტი სამი მთავარი ნაწილისგან შედგება: ა) მხატვრული ნაწილი, რომელიც ვირტუალური წიგნის სახით თამაშდება საგამოფენო დარბაზში, ბ) თეორიული ნაწილი, რომელსაც მრგვალი მაგიდის სახე აქვს და მასში მონაწილეობას ღებულობენ ფილოსოფოსები და არტკრიტიკოსები, გ) საგამომცემლო ნაწილი: წინამდებარე კატალოგი და მოსალოდნელი ბუკლეტი, რომელშიც დოკუმენტირებული იქნება მრგვალი მაგიდის მასალები.

საგამოფენო დარბაზი, როგორც არსებითად ახალი კონცეპტუალური სივრცე თავს უყრის რამდენიმე თანამედროვე ქართველი მხატვრისა (ლევან ჭოღოშვილი, ოლეგ ტიმჩენკო, გოგა ჯაფარიძე, ანა მგალობლიშვილი, კახა დემურაძე) და მწერლის (აკა მორჩილაძე, ზურაბ ქარუმიძე, დათო ბარბაქაძე) მიერ სულ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა კულტურული გამოცდილებით შექმნილ სახელოვნებო ტექსტებს (ფერწერულ ტილოებს, ნაწყვეტებს პროზაული და პოეტური ტექსტებიდან ან სრულ ნაწარმოებს). ყოველი ფერწერული ნამუშევრის გვერდით წარმოდგენილია ერთი პროზაული ან პოეტური ტექსტი. როგორც ერთმანეთის წაკითხვის მცდელობა. თვით საგამოფენო/სამკითხველო სივრცე კი ერთი, მაგრამ მიუხედავად ამისა ყოველ გვერდზე ერთდროულად გადაშლილი წიგნია.

საგამოფენო დარბაზში მოსული დამთვალიერებელი ასეთ დროს ხდება ის მედიუმი, რომლის აქტივობითაც ნახატი და ნაწერი ტექსტები ერთმანეთს კითხულობენ. კონკრეტული ჩანაფიქრი ითვალისწინებს დამთვალიერებლის ორი უნარის — ნახატი და ნაწერი ტექსტების კითხვის უნარის — სინქრონიზაციას და ამის შედეგად მიღებულ ესთეტიკურ ტკბობას. მთელი ეს პროცესი, პროექტში მონაწილე მწერლებისა და მხატვრების მიერ ერთმანეთის ნამუშევრების გაცნობით და თითოეული „ბინარული წყვილის“ მომზადებით დაწყებული, გალერეაში სიტუაციის განვითარებით გაგრძელებული და ბუკლეტის გამოცემით დასრულებული (პირობითად დასრულებული, რეალურად კი სწორედ ბუკლეტის გამოცემით დაწყებული) მოაზრებულია პერფორმანსის სახით, რომელიც ისახსრება არა მხოლოდ საპროექტო დროსივრცეში, არამედ გრძელდება მას მერეც, როცა ხილული პერფორმანსი დასრულდება.

იმის საფუძველზე, რომ, ცალკეულ ხელოვანთა მიერ შექმნილ მხატვრულ ტექსტებზე დაყრდნობით, მზერა ამ ტექსტებიდანვეა გადანაცვლებული საგამოფენო/სამკითხველო დარბაზის — როგორც ავტონომიური ტექსტის — სტრუქტურაზე, რომელშიც დამთვალიერებელ-მკითხველები (და მათ შორის არიან წარმოდგენილ ნამუშევართა ავტორებიც) ავტომატურად ეწერებიან კონცეპტუალური სივრცის გმირებადაც და მასზე გარედან დამკვირვებლებადაც, საქმე ეხება უკვე შექმნილი და „დასრულებული“ სამხატვრო და სამწერლო ტექსტების ხელახლა ამოქმედებას პოლილოგური პრინციპით და დროში მიმდინარე ისეთი გადაშლილი წიგნის შექმნას, რომლის ყოველი ორი გვერდიდან კონცეპტუალურად შექმნილი ერთი მთელი ამოქმედდება ერთადერთ და განუმეორებელ სივრცეში; აქ წამკითხველ-დამთვალიერებელი მოძრავი სახელოვნებო სტრუქტურის ის მთავარი პერსონაჟი ხდება, რომელსაც ასევე ერთადერთს ძალუძს აღნიშნული სტრუქტურის ამოქმედება.

THE POETICS OF AN INVISIBLE BOOK

The debates on post-modern esthetics in the European and American art and related critics has abated and new debates are now emerging on post post-modern tendencies. It is obvious that instead of post-modern orientation on the accumulated variety of art language and inexhaustible capabilities of its use a leading position taking the intersection of many art languages and even art branches. The sincere and claimless aspirations and attempts of the representatives of various branches of art and culture to share internal, spiritual and artistic experience and those contexts which were developed and maintained in kaleidoscope of artistic forms' novelties, innovative achievements in modern and post-modern art without any "isms" and dogmatism is also absolutely obvious. These attempts enable to find the hidden poetics of the area where this kind of contiguities occur.

The project consists of three part: a) artistic part, which is presented in the exhibition hall as a virtual book; b) theoretic part, which is presented in the form of a "round-table" where the art critics and philosophers participate; c) the publishing part: where the proposed catalogue and booklets with the materials of the "round table" are presented in the form of documents.

The artistic hall, as a new conceptual space, which tights up the artistic species (paintings, abstracts from prosaic and poetic texts and complete works) created during different time periods by several modern Georgian artists (Levan Chogoshvili, Oleg Timchenko, Goga Japaridze, Anna Mgaloblishvili, Kakha Demuradze) and writers (Aka Morchiladze, Zurab Karumidze, Dato Barbakadze) of various artistic experience. Each piece of painting is accompanied by one prosaic or poetic text. These artistic pieces of art, poetry and prose created absolutely independently is an attempts to read each other, and the exhibition space is realized as one book all pages of which are simultaneously open.

A visitor of the exhibition hall becomes a medium by the means of which the painted and written texts read each other. The hidden poetry of the exhibition space imply the synchronization of two talents of a visitor-reader – visual perception and ability to read textual material, and as a result – receiving the esthetic delight. All stages of the process: familiarization with the works of the participating painters and writers; preparation of each "binary pair"; development of an action in the exhibition hall and, finally, the concluding stage ("concluding" in the conditional meaning as in reality everything starts with the preparation of the booklet) – the publishing of the booklet, are conceived in the form of performance and is continued after the completion of actual performance.

The gaze of a visitor is transferred from separate pieces created by separate masters of art and poetry to the structure of the exhibition hall as an integrated independent textual piece and the visitor as well as the author-participants automatically becomes the hero of the conceptual space as well as the exterior observer. It is a matter of reactivating the existing and accomplished paintings in an interaction with the verbal texts according to a polilogue principle. Such an interaction creates an open book, flawing in time, where the conceptual integrity of each "binary pair" starts movement in the integral and unique space. Thus a visitor becomes the main hero of the initial artistic structure, the one who is able to activate it.



ლევან ჭოღოშვილი

სერიიდან
განადგურებული ქართული არისტოკრატია

აკა მორჩილაძე

მოგზაურობა კახეთში 1855 წ.

„სად არის ის ადრინდელი კახელობა, მე რომ სიყმაწვილეში მინახავს? ჩოლოქის ომში რომ კახელობა დაესწრო, მის სანახაობას არა სჯობდა რა!..“

აკაკი წერეთელი

ასე თავდახრილი დასცქეროდა გაჭრილ სამარესა, ხელები მოწყენილათ დაესვენებინა შავ ახალოხიდან გამოზრდილ მუცელზე, კაბის ყურთმაჯეებს ნიავი უფრიალებდა, ყალმუხის ქუდი თვალებამდის ჩამოფხატოდა და ძველქართველური ულვაშებიც მოწყენილად ეკიდა ტუჩის კიდეებზე.

ასე იდგა და დასცქეროდა გაჭრილს სამარეს, გარეშემო კი გარინდებულიყო მთელი კახეთის თავადობა, ასევე დარდდაფენილი ამ გრილ შუადღით, შემხედვარე ოჯახში უბედურებისა, ხმა მგალობელთა, ხმა მღვდლისა სულ არ სწვდებოდა მის ყურს, მხოლოდ სურნელი საკმევლისა, ნიავისგან ჩამოტარებული, მგლოვიარეთა და ჭირისუფალთა წინ აგრძნობინებდა, რომ ახლოა დასასრული ამ ამბისა და ახლოა დასასრული ყველაფრისაც.

გვერდით ძმა ედგა, უფროსი, ერთიანათ გათეთრებული, ხანჯლის ტარზე ხელებჩამოსვენებული, ისიც ჩაჩერებული რბილ და ათას რამისთვის გემრიელსა და ტკბილს კახეთის მიწას, ოღონდ კი სამარედ ქცეულს მთელ ცხოვრებისათვის, გამოვლილისა და დასრულებულისათვის, აი, ამ გაჭრილ სამარეში, მაინც ავისა და დაუნდობელისა.

აქ შორიახლო ელაგა კოხტათ დათლილი საფლავის ქვები და ამ ქვებქვეშ კი წინაპარნი კეთილი გვარისა, მამა-პაპანი. ყოველ საჭირო მოსვლაზე აქ, ყოველ ხელის გადასმაზე ამ საფლავის ქვებზე, აწ მგლოვიარეს გულში ადუღდებოდა ხოლმე კერძი სიამაყისა, თვალში იმედი გაუკრთებოდა და ის კი აღარ უცქერდა მამა-პაპათ, ვითარცა საგლოვ წინაპართ, არამედ, ვითარცა სიამაყის უპირატეს მიზეზს, მაგალითს ნამდვილ ქართველურ ცხოვრების თავადიშვილისთვის.

ახლა კი, ხვალინდელ დღიდან რაღას განცდით უნდა მოსულიყო ამ საგვარეულო ეკლესიის ეზოში ან გალავანში, რომელიც ეშენებინათ მის წინაპართ, იქავ მწოლარეთ. მათი ქამარ-ხანჯალი და სიეთა-დამბაჩეული ამშვენებდა კედლებს მის სახლში. განა დარჩებოდა თუნდ მისხალი სიამაყისა და იმედისა აქ მოსულს, განა ვინმე გაახსენდებოდა და განა დაშთებოდა რაიმე ფიქრი აქ ფეხშემოდგმულს. იმედი და ხვალინდელობა მისი ცხოვრებისა ესვენა აქა, სხვა აღარაფერი.

უკან კი იდგნენ კახელი თავადები: გამორჩევით ბევრნი მოსულიყვნენ ენდრონიკაშვილნი, ნათელ-მირონით გადაბმულნი ამათთან, ჭავჭავაძენი – აფიცრულად მოსილნი, ვაჩნაძენი, ყოველი აზნაურები, უფროს-უმცროსობით, ღირსებით, დარდით, ვინაიდან ამბავი ესე ქარს აატირებდა. უკან ქუდმოხდილნი ოხრავდნენ ყმები, შემხედვარენი, მომსწრენი და გულშემატკივარნი ამ ამბისა, მცოდნენი ყოველი დღისა, თავგადასავლისა, მომსმენნი ცოლ-ქმრის მხურვალე ლოცვათა, მომწსრე-

ნი აქიმ-ექიმბაშთა სირბილისა მათ სახლში. მოხუცებული გლეხები – ამათი ქორწილის სუფრის გამშლელნი და მერიქიფენი იმ მხიარულ დღისა, როცა ფინდიხის ჭექამ ისე გაანათა ცა, რომ შორი მინის ღამის მეხრეებს ჭექა-ქუხილი ეგონათ.

ისინი იყვნენ შემსწრე ყოველივე ამისა, ოცფუთიან ქვევრთა ახდისა და ახლა ესწრებოდნენ ოჯახის დაქცევის სურათს. აქ არ მთავრდებაო, იტყოდა ზოგიერთი ეშმაკი, გაივლის წელიწადი ამ დღიდან და უხმობს ბატონი დალაქს, მოიპარსავს სამღვდელო წვერს, გამოიხედავს გარეთ, თალხს განჯინაში დასტოვებს და მეორედაც დაქორწინდება, რაც ახალ ცხოვრების დასაბამი იქნებაო. ჰაი, რომ ვინც კი იტყოდა ამას, თუნდ თავის გულში, ის აღიარებდა, რომ არა სცნობია თავისი ბატონი.

მთელ ამ გამოყოლებაზე ყველამ იცოდა, რომ ეს ფართოდ გაჭრილი სამარე, ქალისა და იმის უმანკო ჩვილისათვის, რომლებიც ამიერიდან საუკუნოდ ერთად იქნებოდნენ იმ სამოთხეშიაც, დიდხანს არ იქნებოდა ცალკეთ. ანუ, თავად ბატონს დიდი დღე აღარ ეწერა მიწაზე მარტოდ სამყოფად და ისაც მათ შორიახლო იპოვიდა ადგილს.

ამის დამნახავი იყო ყველა იქ მყოფი. ამიტომაც ამ ჭირის დღეს ხედავდნენ უკვე, ხვალის ჭირის დღეს, რომელიც ცოცხლად იყო აქა და თავის ყოველი იერით მიანიშნებდა, ასე იქნებოდა. ეს ამბავი, ამბავი ტკბილათ ცხოვრების და ნაღველგარეულ იმედისა დიდი ხნისა იყო. ასე დიდი ხნისა, რომ ადამიანთა თანაგრძნობას იწვევდა, სადაც კი მიმწვდარიყო. ქორწინება ორი ახალგაზრდისა, ძველებურად, ქართველურად, გემრიელ დროსა და მშვიდობის ჟამსა, სათანადო სიხარულითა, სათანადო მზითვითა, სათანადო გრძნობითა. ყოფა ერთ კეთილ და დარდმიუცემელ ბუდისა, რაიც ასე მოხდენილად იყო ძველი დროის სათავადო სახლებში. არც ქონებაზე გადაგება და არცა ჯავრი ხვეჭისა, თანდათანობითი გამოჩენა სიყვარულისა, ოჯახის ბუდეში – ეს ამბავი ოცი წლისა იყო და თუ არა დაუცხრომელი სურვილი, რაიც ყოველი ადამიანის გულში სძევს, რომ თუკი შემდგარა ამ ყოფაზედ, თუკი დაუდგამს გვირგვინი და უთამაშნია წრეში თავის დედოფალთან ერთად, ბოლო ამ ამბისა უნდა გახლდეს შვილები, დაზრდა იმათი და თავის ცხოვრების მათ ცხოვრებაში გაგრძელება, ვითარცა წესია გვარ-შტოთა სიცოცხლისა, თუ არა სურვილი ყოველი ასე ქრისტიანე კაცისა, ჩვეულებრივი და ალალი, ამბავი გამოვიდოდა ერთიორათ გძელი, თუმც ნაღვლიანი, მაგრამ არასგზით ამგვარ ჯავრისა და ტკივილის მომტანი.

იქნებოდა ასე, სიბერე, გაზომილი არშინით და ნაღველი უმემკვიდრეოდ გადაგებისა, რასაც შეებრძოლება ცხოვრების ნაირგვარ, შეუდარებლად პატარა სიხარულებით, ოღონდ კი, მაინც შეებრძოლება და იმ ნაღველსაც, ფერების აგრერიგად მოყვარულს მიაძინებს ხოლმე.



აჰა, საწყალი თავადიშვილი და თანამეცხედრე მისი, მომლოდინე მემკვიდრისა და აჰა, წლები ამ ფიქრით გამ-ბალ-გაჯერებული.

წელიწადი ერთი, წელიწადი მეორე, წელიწადი მესამე, მეოთხე და ასე დაუსრულებლივ... ქ. სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა... იქ ხატებს შევედრება და სვლა ხატებთან, შიში და მარჩიელთა არცთუ ნამდვილი სიტყვა, ხატი იქნება გამწყრალიო, საკლავის ტარება ეკლესიათა გარშემო და ისევაც იმედი. თუმცა-კი რათ უნდა ყოფილიყო გამწყრალი? რა ჩაედინათ, რომ გამწყრალიყო წმინდა გიორგი და წმინდა ნიკოლოზი? პირველის მხედრობა ვიყავნით ჩვენ ყველა და ყმანი ამისნი. მამა-პაპით შენახული სიეთა-დამბაჩეული ხომ ამის მოწმე იყო და, აბა, რომელს, რომელს ამ გვარითაგან წაედგა ნაბიჯი უკან და გაეწყრო იგი. არც ერთსა და თუ მშვიდობა იყო ეხლა და ხმალშიც არ დაეძახათ იმის წმინდა ბაირაღქვეშა, ეს საწყენი იყო? რაღა თქმა უნდა, არ გასწყრებოდა. მისი გაწყრომის ამბავი საქალებოს ფუთფუთი გახლდათ, თორემ თუ ხმლით არა და წმინდა სანთლით და ლოცვით იმისათვის პატივი არ დაუკლია. აჰყვა ქალებსა და ამ იმედით გასწევდა სალოცავში, რომ ქალებისა მაინც სხვა ფიქრიაო. და წმინდა ნიკოლოზ რაღათ გასწყრებოდა. იმან სულ არ იცოდა ხალხისგან წყენა, მოხმარება იცოდა ხალხისა და სასწაულებით კაფვა იმათი გონების გზისა. ხატი არ იქნებოდა გამწყრალი, რათ გაუწყრები შენს წრფელ მონასა. არ გაუწყრები...

წელიწადი მეექვსე, მეშვიდე და ასრე წავიდა, რომ თუ რამ საჩუქარია ღვთისა, ვეღარც პატარძალი დაიკვეხნის სიახლესა და უჩვევობას და ხსნილს თავზედ აღუსრულებს საქმეებსა უკვე ქალობაში ფეხშედგმული და ქალობაც სხვანაირი გახლავს მისი, არათუ ცხელი და გზნებასწამყოლი, არამედ ცოდნით და გაჩვევით და უკვე ყოველდღიურობის სიყვარულით და არა სიყვარულით იერისა, წყურვილით უცხო რამისა და რახან ესაც არა შველის, არ გამოაჩენს საშველსა, რჩება აქიმობა, ძველი და ნაცადი, შემოწმებული იმ ძველების ქაღალდებში. თითონ, ქართველს თავადს, ძნელად რომ დაეჯერებინა აქიმთა წიგნებისაც და აქიმებისაც ასევე. აქიმობა სჯეროდა უფლისა და იმის სახელით შემოსილთა, იმის ძალ-მადლით განათლებულებისა, თორემ ქალაქს მისვლა და იქ აქიმობის მოლოდინი სირცხვილის ჭამად უფრო იყო, ვინემ წამლობად. ოთხიხუთი ყოფილიყო ქალაქს აქიმად, ოთახებში დაეჭირნათ, იქა წამლობდენ. ეს ამბავი ადრიდანვე მოიტანეს. რა არის რომ, კაცები ყოფილიყვნენ და კაცმა, როგორ უწამლოს ქალსა, რაგვარ გაშინჯოს საგანძურები მიკუთნებული ღვთის კურთხევით და ჯვრისწერით მის ქმარსა. ამასაც დასთმობდა, ოღონდ კი ყოფილიყო, ოღონდაც იმედი ვერ იპოვნა: ქალის დამნახავი ქალაქის აქიმი წამლობას ვეღარ გასწევს, ეშმაკისკენ წაუვა ფიქრი. საიდუმლოებას ქალაქში წამლობისა ვერ მოერეოდა და განა აქიმი ანდა მოწამლე კახეთში არ იპოვებოდა? გასწიეს ესაცა... მოიყვანეს, ბაბო იყო, მეფის ირაკლის ნაჭენები ახსოვდა. უხარშა და ასვა ბალახ-ბულახი, თალგამეული ათუშვინა წამლისთვის. მერე სხვა მოიყვანეს, იმან გიშრის კენჭები დაჰკიდა საბრალოსა, ნაღვერდლით დასწვა ფეხისგულები და სისხლი გამოუშვა, გახადა ნაცრისფერი და ღონე-მიხდილი. ვწვალობო, ერთი იმის კვნესა მოესმა ქმარსა და უთხრა დარდით:

„არ გვინდა აქიმობა. მივსდიოთ განგებასა. მარტო სიბერეც ტკბილი გახლავს. აგე, აივანზე ვივახშმოთ ხოლმე, მიდამო ყოველთვის სხვანაირია და გაგვიხალისებს თვალსა“.

ასე ცხოვრობდნენ, არც აკლდათ რამე და არც ემატათ. ეს არის, ულვაში დამოკლდა და ასაჩეჩი აღარ შეიქნა, დაემოკლებინა რუსთ ხელმწიფესა და დამოკლდა აქაცა, ეგ არის, წელზე ქონმა იმატა და მუცელში წყალმა – მისაღებელს ხომ მიიღებ და იმის ამბავი ასეა ცნობილი, რომ რჩება და რჩება სტომაქში. ქალიც მოწყენილად შე-

მძიმდა, სიყმაწვილის ფერი დაჰკარგა, სამი ღერი თეთრი თმაც გამოეზარდა მარჯვენა საფეთქელთან. და შემდეგი წელიწადები იყო ჟამი უთქმელი მოლოდინისა და ორივენი უმალავდნენ ერთმანეთს ამ მოლოდინს, არც თვალით გასთქვამდნენ, არც ქცევით, ერთურთისთვის მზა ჰქონდათ პასუხი – ღვთის ნებაო. ასე იყო. და ერთ დღესაც ის ახალი მობრუნებული იყო ნათლობიდან. ერთი კვირა გაეტარებინა წყალგაღმა, ბიძაშვილებისას, ნათლობას მოჰყოლოდა დიდი ხნის უნახაობის, მონატრების ამბავი და შეჰყოლიყვნენ ზეიმსა. ეტოლუმბაშნა, სიტყვა გაეწია და სმა დიდი ჯამებითა და იმ სამარადჟამო ცოტასიტყვიან დარდ-სიხარულითა, აგრე რომ ეხერხებათ კახელ ტოლუმბაშებს. დღე აღარც იყო, ნასამხრევს მობრუნებულიყო, წამოსულიყო შებნელებულზე, არ მორიდებოდა წყლის ქალს, რომლის გამოც ამბობდნენ, ზემოთ, ფონის ახლო ქვაზე ზის, თმას ივარცხნის და მარტოხელა მხედრებს უხმობსო. წამოსულიყო უცნაურად, შემთვრალობის იმ გაქანებაზე მყოფი, თავში რომ მხოლოდ კარგს აზრებს გაათამაშებს ხოლმე და მერეღა მიმხვდარიყო დაფიქრებული, რომ ესა, შემთვრალობის ხასიათი კი არ იყო, არამედ, ერთ რამ კეთილი წინათგრძნობისა.

ეს წინათგრძნობა დაუხვდა შინა, კუნაპეტ ღამეში ჭრიალა აივანზე სახლისა, ჩაცმული თეთრ საღამურ საძილე პერანგში, გამონათებულ, თუ იმედიანად გამკვესავ თვალებში, ქალის ხმაში, რომელიც მოესმა, რომ აშკარაა და წყალგაუვალი, რომ ღმერთმა მოხედა მათ გვარსა და ოჯახს, რომ ამ დღეებში არ მოხდა ისა, რაც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე.

გულისფრთხიალი იმ ღამისა გადაიქცა გულისფრთხიალად კახურ რიჟრაჟისა. ისინი ისხდნენ აივანზე და ლაპარაკობდნენ, გაუთავებლად და ხმადაბლა ჰყვებოდნენ თავიანთი ცხოვრების ამბავს. ეს იყო, რომ ქალს შალი წამოეფარებინა მხრებზე, სუსხი მოჰქონდა ქვემოდან.

ადრე წლებს ითვლიდნენ, ახლა კი თვეებს, მერე კვირეებსაც. ეს არის მხოლოდ, რომ გულის ფრთხიალი და სიხარული თანდათან შეცვალა შიშმა და სიფრთხილემ, ამ ორთა შუა კი შემოიპარა სიყვარული ჯერაც არ დაბადებულ შვილისა. ყოველ კვირა დღეს მაჯის სიმსხო კელაპტარს აუნთებდნენ ხოლმე, სწირავდნენ და გასცემდნენ, დაუნანებლად გამოახსნევინებდნენ ხოლმე მოურავს ბეღლის კარს, ამოსწევდნენ ხოლმე ხატის ურდულს და ლოცულობდნენ. კნეინა უკვე ვეღარ დაიჩოქებდა ხოლმე ხატების წინა, იქვე, ლოგინთან დაუსვენა ხატები თავადმა და მღვდელიც ამოვიდოდა ხოლმე, როგორც რიგია. ბოლო კვირეები იმგვარად გამოვიდა, რომ ქალმა ვეღარ იპოვა ღონე წამოდგომისა და ასე მწოლარეთ ელოდა მშობიარობის საათს. იმავ დღეებში გამოჩნდა უტყუარი ნიშანი იმისა, რომ ჩვილი ვაჟი გახლავს, რახანღა მოუსვენრად ტრიალებს დედის მუცელში და თავს მალემალ შეახსენებს. ამან კიდევ მეტად გამოხატა სიყვარული მისდამი და მადლიერება. ოღონდაც კი მაინც საფრთხილო იყო კნეინას ვითარება, რადგან ნაყოფით დამძიმებულს სრულიად აღარ შეეძლო განძრევა. ამას ზედვე ეხმარებოდა ბუნებრივი სიმძიმე თავად კნეინასი და ზედავე მის უმოძრაობისგან ყაბზობა. ესეც არა და მოლოგინების მომლოდინემ სრულიად შესწყვიტა საზრდელის მიღება და თუკი რამეს გაუხსნიდა ტუჩს, მხოლოდ ორიოდ ყლუპ რძესა. ეს აშფოთებდა კაცს, ის ჩამოუჯდებოდა სასთუმალთან ნაღველ-სიხარულის მიტკალში გამოხვეულ ცოლს და ძალისძალათ, თავის ხელით შეასმევდა ხოლმე ამ რძესაც და მიაწვდიდა ყველის ნამცეცებს. ქალი ხმადაბლათ ლაპარაკობდა ხოლმე, თითქოსდა სხვა საფიქრალი გასჩენოდა, ეს უცხო, თუმც კი მაინც მისახვედრი საფიქრალი გადმოსდებოდა კაცსაც, ოღონდაც არ უტყდებოდა ამას. კარგს მისთავაზებდა ქალს და ასე ერჩივნა, რომ შიში ამათ შორის გამოუთქმელად დარჩენილიყო თავ-თავის გულებში. ადრევე ეთადარიგნათ და ბებიაქალი, მთელი

ამ სოფლის დედათა პატრონი, აქავ, სახლში მოეწყოთ, ეს ბებერიც ტრიალებდა ფეხმძიმეს შორიახლო, ოღონდ კი, თუკი დაეკითხებოდნენ რასმე, წაიჩიფჩიფებდა გაუგებრად. ეს იყო, რომ ეგებ არც მოსწონდა კნეინას მდგომარეობა და არკი იტყოდა. ამის ეჭვი კი უტრიალებდა თავადს, ოღონდ მღელვარებას ეჯობნა და მოლოდინს ხომ საერთოდაც დაემარცხებინა სხვა რამ ხასიათები. ყალიონი ისე ჩაეფერფლებოდა თავადს, რომ ერთს სხვა რამეს არ იფიქრებდა, გარდა მოლოდინისა.

საღამოს პირი იყო, რომ საქალებოდან გამოვარდა მოახლე გოგო და მღელვარედ მისჩურჩულა: „დროა, ბატონო“, წყლით სავსე სპილენძის ტაშტს მოარბენინებდა გაშტერებულ სახით.

თავადი კართან აიტუზა, გააკავა მთელი აივანი თავის წამოზრდილ მუცლით და ყური მიუგდო ოთახიდან გამომავალ ხმებს. მიუგდო და ვერც მიუგდო, რადგან გული დასწვა ჯერ კვნესამ, მერე კი ყოვლის გამჭრელმა კივილმა. მოშორდა კარს და ჩამოვიდა ქვემოთ, უანგარიშოთ გასწია ეზოს მივარდნილ კუნჭულისკენ. კივილი კი მოსდევდა, ვერ დაემალებოდი, ისე. დაინახა, თოფსა ტენიდა მოურავი, გამოეტანა ადრევე გამზადებული, პაპისეული გრძელლულიანი, ზუმბარა საპირიწამლე, ამზადებდა, რომ მთელ კახეთს გავარდნილიყო ხმა – ბიჭია, ბიჭი გახლავს, პატარა ბატონი!...

მერე თავადს აღარც ახსოვდა, როგორც ხდება ხოლმე ასეთ დროს. წვიმა წამოვიდა, ან საიდან წამოვიდა, ან რა წვიმის დრო იყო იმ შებნელებულზე. ეზოს ბოლოში მოსძებნეს, ღობესთან პირით ჩამჯდარი, აღარც კივილის ხმა იყო და აღარც სხვა რაღაც ხმები. მოსძებნეს და ვეღარც უთხრეს ვერაფერი, ასე ედგენ ზურგს უკან და თავისით გამოხედა. მოურავს თოფი არ ეჭირა ხელში, გალეულიყო იმ წვიმაში და ბოლოს მაინც გაუბედა, წვიმა იყო, თუ ისე დასველებოდა სახე, უთხრა:

„არ დარჩა, ბატონო... არ დარჩა...“

„კნეინა...“ ღობეს ჰკითხა მან.

„კნეინა... და ჩვილიცა... არ დარჩნენ... ღმერთმა... ერთმანეთს გადაჰყვნენ... ერთად წავიდნენ...“ თავადი წამოდგა და ჭალებისკენ წავიდა ტალახში.

ეძებდნენ, მაშხალებით დადიოდნენ ღამეში და მოესმოდა: „ბატონო... ბატონოოო...“ ეგებ არც კი მოესმოდა გლეხების ხმა, აგრე ნაცნობი შეძახილი გზირისა, იგივ, ჩვეული ხმოვანებით გამოსროლილი. იქ იყო დიდხანს, იქავ მოადგა მოურავი გამთენიას, გალუმპულს შემოაფარა ნაბადი და უთხრა:



„დათო ვარ, ბატონო... დათო ვარ“, და წამოაყენა ფრთხილათ, ძალიან ფრთხილათ და წაიყვანა.

ასე იდგა და დასცქეროდა გაჭრილ სამარეს, გარშემო კი გარინდებულიყო კახეთის თავადობა, ასევე დარდდაფენილი ამ გრილ შუადღით, შემხედვარე ოჯახურ უბედურებისა.

მერე აღარ შერჩენოდა ხსოვნა არც ჭირის სუფრისა, ეზოში რომ გადაეფინათ და არც არავის მოურთხავს ფეხი იმ სუფრასთან, ფეხზედგომელა უთხრეს შენდობა, თითონ კი ამ ამბის მერე აღარ ასულა მაღლა, ვინაიდან არ შეეძლო ჯდომა ჭრიალა აივანზე და ჰკლავდა კარი ამათი ოთახისა. ქვევით მოუწყვეს ოთახი და დასახლდა იქა, არც სანთელი შეიტანა, არაცა ჭრაქი, თეფში და ჯამი. იჯდა იქა და დღის შუქს არ ენახვებოდა, შეღამებულზე გამოდგამდა ხოლმე ფეხსა და ისევ შევიდოდა და მიეგდებოდა, ძალისძალ შეუტანდა ხოლმე მოურავი პურის ფაფას და იმ ბნელშიაც ხედავდა, როგორ დნებოდა ეს ამოდენა დევსავით მოსული და სუქანი კაცი, მომლოდინე თავის სიკვდილისა და ოჯახთან შეერთებისა.

ასე გავიდა ორმოცი დღე და მეტიც და ერთიც გაჭრიალდა კარი. არ გაუგია სხვა ხმა, ან ცხენის ფლოქვისა ან შეძახილისა და მაინც მოხედა კარს, რომელთანაც ზურგშექცეული იჯდა ხოლმე და კარში იდგა თოფიარაღში ჩამჯდარი, ეპოლეტდაბნეული ენდრონიკაანთ ერთი თავადიშვილი და უცქერდა. წამოდგა ამის დანახვაზე და გადაეხვივნენ კვნესით.

„ოსმალო წამოსულა“. სთქვა მოსულმა, ამან კი არ უპასუხა.

„ოსმალო წამოსულა და ნამესტნიკმა კახელ თავადობას მილიციის შედგენა გვითხრა ჩვენ-ჩვენი ხალხით, ახალციხით წავალთ და ჩოლოქზედ უნდა ვიყვეთ დათქმულ დროს...“

ეს კვლავ გაჩუმებული იყო, მერე კი თქვა:

„ჩემ მახსოვრობაში ომი აღარა ყოფილა. ორმოცი წლისა ვარ და ომი არ მინახავს“.

„შენთან მოვედი... უნდა წამოხვიდე“.

იმ ბნელში ჩანდა მხოლოდ ერთმანეთის თვალები, ერთი იმედიანი თავადისა და მეორე ჩამქრალი, თუმცაღა მაინც ცოცხალი, ორივ წყვილი ამ თვალებისა ერთმანეთს მიბჯენილი შუაგაბმულ რაღაც ძაფებით.

„არა...“ სთქვა მან.

ენდრონიკაანთ თავადმა კი იცოდა ერთი რამ: გადარჩენა ამ კაცისა, მისი გამოხედვა სინათლეზე, მოვლა მისი ჭრილობისა შესაძლოა ამ ერთადერთ, განგებისგან მოსულ გზით, რომ თავის დაღუპვა ბნელ ოთახში ერთია და მეორე კიდევ – ომში, და ამ წრფელის აზრით შემკულმა უთხრა:

„კარში გამოდი, მეტს არას გთხოვ“, და გამოუძღვა გარეთ.

გარეთ კიდევ სცემდა დღის სინათლე და მთელი ეზო გაევსო ხალხს, მთელი ეზო გაევსო ამხედრებულ იარაღასხმულ თავადობას კახეთისას და ყველანი უყურებდნენ ამას, თავის სიბნელიდან გამოსულს და მან, როცა შეხედა, თავის კახელებს, გამზადებულს საომრად და ასე მოსულთ მის სახლ-კარში, სთქვა ხმადაბლა:

„მე... ომისა, რა გამეგება?“

და დაინახა შორიახლო მდგომი მოურავი, ხელში იმ ძველი თოფით და კიდევ ასჯერ ძველი, კოხტა ქამარხანჯლით, თითქოს უნდა მიართვას თავის ბატონსო, და მოესმა ენდრონიკაანთ თავადის ხმა, მისთვის ასე ამხანაგური და თბილი:

„მთელი კახეთი აქა ვართ, შენ სახლში. ჩინ-მედლისთვის არ მივდივართ იქა, ეგებ თავის მოსარჩენათ ან ტკივილის უფრო მეტ ტკივილით მოსავლელათ. აისხი ეგ იარაღი და წამოგვყევი. ვინ იცის, როგორ მისვლა სჯობია, იქა... ცაში“.

ასე წავიდა თავადი ლუარსაბ თათქარიძე ომში.

ოლეგ ტიმჩენკო
მდგომარე ანგელოზი

ბოლო რამოდენიმე დღის განმავლობაში გრიგოლ ზამზელი დარწმუნდა, რომ მთელი მისი ცხოვრება – არს აქამომდე – წარმოადგენდა ერთიან და გაბმულ შფოთიან ძილს, რომლისგანაც იგი გამოერკვა და აღმოაჩინა, რომ ვიღაცას, მეტაფორულად თუ ვიტყვით, იგი „ფრჩხილებში ჩაუსვია". დიახაც, ამ ვიღაცამ ეს გრიგოლ ზამზელი რაღაცა „ექსისტენციალურ პარენთეზისში" მოათავსა, ხოლო მთელი დანარჩენი სამყარო ამ „პარენთეზისს" გარეთ იქნა გატანილი....

ზურაბ ქარუმიძე

წიგნიდან ღვინომუქი ზღვა

აი ახლაც, ტაქსიდან გადმოსვლისას, იგივე განცდა დაეუფლა. ერთის მხრივ, იგი დანიშნულ დროს მოვიდა დანიშნულ ალაგას, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა თითქოს არ მისულა – არ იყო იქა. მისი მუნ-ყოფნა თითქოს ალთას იყო, გარემო კიდევ – ბალთას. არადა, ზამზელის წინ და გარშემო სრულიად კონკრეტული სანახავი იკვეთებოდა, ასრე ვთქოთ – კამერული ურბანისტული პეიზაჟი გადაშლილიყო. მე რომც არ მეთქვა, თქვენ ხომ ისედაც ხედავთ: იქეთ პეიზაჟი, აქეთ კიდევ – ზამზელი – პეიზაჟიდან ამოვარდნილი... უფრო სწორად, პეიზაჟიდან ამოვარდნილი კი არა, პეიზაჟში ჩავარდნილი – გზააბნეული და რედუცირებული ანგელოსივით, რომელსაც მხრებიდან ფრთების ნაცვლად, აქედან და იქიდან, ორი კაი სიმსხო ფრჩხილი ამოზრდოდა (პარენთეზისი!)... დიურერის კალმით ნახატი მელანქოლიკი... არა, ზამზელი შიზოიდია – გარე სამყაროსადმი გარეშე; მის ნერვულ დაბოლოებებსა და საგანთა ზედაპირს შორის კიდევ ვიღაცა დადის, როგორც დანის პირზე, და ეს ვიღაცა თავად ზამზელია. ყოველ შემთხვევაში აქ და ამჟამად სწორედ ამას გრძნობდა.

ზურაბ ქარუმიძე

წიგნიდან ღვინომუქი ზღვა

ჰო, ეს ყველაფერი სწორედ ოპერის ფანტომმა უკარნახა ხელს – ჩააწერინა. არა უბრალოდ ტექსტი, არამედ კრიპტოგრამა. არა როგორც იდუმალწერილობა, არამედ იქ, ქვეშეთში ნაწერი.

. . . . . .

თავად ფანტომიც ტექსტუალური წარმოშობისა გახლავთ, უფრო ზუსტად – ორი შეუსაბამო ტექსტის უნებლიე თანხვედრის ალაგას გაელვებული პოეტიკური მახინჯი; სახელად, ვთქვათ, *ჟან-ბატისტ თბილელი* – მარტვილი და იმავდროულად სადისტი მკვლელი: *მარტვილ დე სადი.*

ტექსტუალური წარმოშობის კი არა – წარმოქსოვის: ქალწულებრივი აპკის ჩახევიდან ამოკერებული, მისართული და დართული.

ოლეგ ტიმჩენკო

მჯდომარე ანგელოზი

ზემოაღნიშნულ მარცვალ-თვითნიშნებს რაიმენაირი კომბინაციით თუ განალაგებდი, მაშინ მათგან ჩნდებოდნენ ვირტუალური მარცვალ-თვითნიშნები, რომლებიც ლაგდებოდნენ პატარ-პატარა სამყაროებად, რომლებიც თავის მხრივ ქმნიდნენ უფრო დიდ სამყაროს, რომელშიც თამაშობენ ხსენებული პატარ-პატარა სამყაროებით, როგორც მარცვალ-თვითნიშნებით, ხოლო ეს დიდი სამყარო კიდევ თვითონაცაა ისეთივე მარცვალ-თვითნიშანი, რომლებითაც უფრო დიდ სამყაროში თამაშობენ უფრო დიდ თამაშს, უფრო დიდი მოთამაშეები, და ა.შ. უსასრულობამდე, სადაც უსასრულოდ დიდი უტოლდება უსასრულოდ მცირეს, და პირიქით – უსასრულოდ მცირე უტოლდება უსასრულოდ დიდს, რამეთუ ორივე უსასრულოა, და ამ ორ უსასრულობას შორის, მათი გადაკვეთისა და თანხვედრის ალაგას მყოფობს უსასრულო მოთამაშე, რომელიც უსასრულოდ თამაშობს, რაგვარადაც თამაშობენ ყურძნის ციფრულ-დიღიტალური მარცვალ-თვითნიშნებით...

. . . . .

ზურაბ ქარუმიძე

ფრაგმენტები წიგნიდან თხა და გიგრ

მე ვარ თქვენს შორის, ხოლო თქვენ ჩემთანა ხართ;
მე ვარ გალობა თხათა, რომელიც იტყვის კაცთა
მომავალს:
რომ მომავალი იგი აწმყოსა შინა ჩანს და აწმყო
იგი მას ვერ ეწია;
მე ვარ ალაგი თქვენთა საქციელთა,
ხოლო თქვენ – მოქმედნი არცოდნითა თქვენითა:
მე ვარ ღივილი, ხოლო თქვენ – მარცვალნი
იფქლისანი;
მე ვარ შეხვედრა, ხოლო თქვენ – უცხო კვალისა მიმყოლნი;
მე ვარ შიმშილი დაუოკებელი, ხოლო თქვენ –
ინახად მსხდარნი და მჭამელნი;
მე ვარ ტკივილი და სალმობა, ხოლო თქვენ –
კრუნჩხვად მყოფნი და დავრდომილნი;
მე ვარ დუღილი, ხოლო თქვენ სისხლი გდით,
როგორც ყურძნის ჩაწნეხილ მტევნებს;
მე ვარ დუმილი, ხოლო თქვენა ხართ
სიტყვა ჩემი –
ერთმანეთის მიმართ თქმული;
მე ვარ შიში და ძრწოლა, ხოლო თქვენ –
ფეხქვეშ გეცლებათ საყრდენი;
მე სიცარიელე ვარ, ხოლო თქვენ
ერთმანეთისა თანა დაწვეთ, რომ აღმოავსოთ იგი;
მე ვარ მოლოდინი, ხოლო გელით თქვენ სხვა;
მე ვარ გემო, ხოლო თქვენია თაფლი და რძე
ქუეშე ენათა თქვენთა;
მე ვარ ჯიბრი და მეტოქეობა,
გამარჯვებული კი არას მოიხვეჭს;
მე ვარ სიცხე და ხორშაკი, ხოლო თქვენ ასვათ
წყალი მწყურვალს;
მე ვარ სიცივე, ხოლო თქვენ –
სითბომ შეგყაროთ ერთად;
მე სასოწარკვეთა ვარ,
ხოლო თქვენ აგეხილოთ თვალნი;
მე ვარ სიხარული, ხოლო თქვენ სილამაზის
ხილვამ მოგცეთ იგი;
მე თავისუფლება ვარ,
ხოლო თქვენი არს არჩევანი;
მე ვარ ნეტარება, ხოლო თქვენ — არა მცოდნენი;
მე ვარ ამბავი თქვენი, ერთმანეთს რომ უამბობთ
და ვერ აგებინებთ...
მე ვარ სხვაგვარად ვინემ ვარ;
მე ვარ ის, რაც არ არის,
და ვიყავი ის, რაც არ ვიქნები,
და ვიქნები ის, რაც არ ვიყავი...
მე ვარ სიყვარული, ხოლო სიკვდილივით მტკიცეა იგი...
სიყვარული უზენაესი... სიყვარული უზენაესი...
სიყვარული უზენაესი... სიყვარული უზენაესი...
სიყვარული უზეშთაესი... სიყვარული უზეშთაესი...

ოლეგ ტიმჩენკო
ლეოპარდებთან მოთამაშე



ოლეგ ტიმჩენკო
ევა

ზურაბ ქარუმიძე
წიგნიდან
თხა და გიგრ

ნეტარ არიან კაცნი ავანგარდისანი: მათ ჩანგური
მისთვის უნდათ, რისთვისაც შაჰიდს – ქამარი;
ფიცხელთა შაჰიდთა თავგანწირვას უტოლდება
თავგანწირვა მათი,
ოდეს მავანთა არმცოდნეთა და გულუბრყვილოთა
ბრბოში ფეთქდებიან და
ხორცის ნაფლეთებსა და სისხლის შხეფებში
განარღვევენ სივრცეს და დროს,
რომ განსხეულდეს უსხეულო და
განუსაზღვრელი,
როგორც ტვინის უჯრედის ზომამდე
დაპატარავებულ ოთახში აფეთქებული ქაღი:
ის-რაღაცა- ნივთი-თავისში-უსასრულოდ,
კუდიანი ვარსკვლავივით რომ გახევს ღამის
ხავერდოვან საფარველს და მთვარის უძილო
თვალის ფსკერს დაეტაკება,
შორეთიდან სიცოცხლის მომტანი –
უსასრულო სპერმატოზოიდი, სიკვდილით
მოხაზულ საკვერცხეში...

1

გოგა ჯაფარიძე

ის ნეტარებს, როდესაც ტკბილს ჭამს.
ის ნეტარებს ასევე, როდესაც ლანძღავს

...ჩვენ მოძრაობების ბედში ვერაფერს შევცვლით. ადამიანები, რომლებიც უმრავლესობას ეშლება, არიან შეშლილები, ხოლო უმრავლესობა არის ჯამი მავანთა, მავანთა. განა შეიძლება, ამ ჯამში ოდესმე არ იყოს ქაოსი? მაგრამ ეს ქაოსი დროდადრო ამოტყორცნის ხოლმე უვარგის სხეულებს,

დათო ბარბაქაძე ფრაგმენტები რომანიდან
აქილევსის მეორე ქუსლი

რომლებიც მერე, ჯამის ირგვლივ ყავის დაუფქვავი მარცვლებივით მიმოფანტულნი, ღრმა ძილს მისცემიან, მისცემიან სამუდამო მოგზაურობას, უფსკრულებს, მსხვრევის შეუძლებლობას, ერთხელ და საბოლოოდ განხორციელებულ მსხვრევას. ისინი – ეს უვარგისი ტანები – ისე დაიმსხვრნენ, რომ მათი მსხვრევის ისტორია არ არსებობს. ანამნეზი არსებობს, მაგრამ ისტორია – არა. ყველაფერი მათ გარეთ ხდება, მათში – არაფერი. სამაგიეროდ, ჯამში წესრიგია. მაგრამ როგორ და საიდან ხდება, რომ ეს წესრიგი თავის სხეულში დროგამოშვებით ავითარებს ისეთ სიჩქარეს, რომელიც ზღვარს სცილდება და ორბიტის გარეთ დაეძებს საშველს, უკაცრიელ სივრცეში მოინიშნავს მეხსიერებისთვის შეუძლებელს: სიგიჟეს. იმის თქმა მინდა, რომ სიგიჟე ის კი არაა, რაც არ სჭირდებათ, არამედ – ის, რაც აღარ სჭირდებათ. მეტიც: რაც აღარ სჭირდებოდათ. იმის თქმა მინდა, რომ ვი-

2

Durex-ი საშუალებაა, მიზანი კი – არასასურველი ორსულობის თავიდან აცილება

საც ჩვენ ამ შეშლილი ადამიანების სახით ვხედავთ, მხოლოდ ანარეკლები არიან სიგიჟის. ისინი, ვფიქრობ, მიგვანიშნებენ შეშლილებზე, რომლებიც სადღაც სხვაგან არიან, სადღაც მათ ბედკრულ სხეულებში, მაგრამ მაინც – სხვაგან. იქნებ, ნებისმიერი შეშლილის ტანი არის კუნძული, სადაც ის ხარობს, რაც უმრავლესობას ეშლება? იქნებ, ის, ვინც შეეშალათ, იმას ინახავს, რაც შეეშალათ? დიახ, შეშლილებში რაც შეეშალათ...

...ჩემი სხეულის ყოველი ჟესტი ეძებს ადგილს, რომელშიც მისი, ამ სხეულის, მოძრაობის შეჩერება გახდებოდა შესაძლებელი. მაგრამ ის ამას ვერ ჩაიდენს არა იმიტომ, რომ ადგილის მიგნება შეუძლებელია, არამედ – იმიტომ, რომ მისი ჟესტების თანმიმდევრობა მხოლოდ იმიტაციაა ძიების. მოძრაობა ხომ უკვე დასაზღვრულია. ის, რის სპონტანურობაშიც იგი დაარწმუნეს, განსაზღვრულიცაა და დასაზღვრულიც. ის ამ წინააღმდეგობას ვერ ხედავს, მაგრამ წვალობს, ვინაიდან ეს წინააღმდეგობა მსჭვალავს მისი მოძრაობის ავტონომიურ ნაწილს, სამოძრაო ველს, რომელიც დაძაბულობის შემქმნელი, მიწყივ ადგილმონაცვლე სიცოცხლეა. წინააღმდეგობა მის თავში იწვევს ამოუხსნელი ამოცანების მთელ

3

მეტალოპლასმასის ფანჯრები ლამაზად და მშვიდად დაგიცავთ სუიციდისაგან

კასკადს. უკვე არსებობს შიში, რომ ამ ფაქტს, წინააღმდეგობაში მის ფართხალს, ამოიკითხავს მაყურებელი ანუ ის, ვინც სწორედ წინააღმდეგობის არარსებობაში უნდა დაარწმუნოს, უკეთ, უნდა დაარწმუნოს, რომ ის კი არ მორჩილებს, არამედ განაგებს წინააღმდეგობრიობას, შეუძლია მაყურებლისთვის მისი თავსმოხვევა, მისგან მაყურებლის გათავისუფლება, ერთი სიტყვით, – მაყურებლის ფლობა. აქ კი რა ხდება: ის თვითონ იქცევა წინააღმდეგობრიობის მსხვერპლად, რასაც, თურმე, მაყურებელიც ხედავს, და ამ ხედვას მაყურებელი გაჰყავს კიდეც მისმიერი ფლობის სფეროდან. ჩემი სხეული ახლა მარტოა, ანუ არ ჰყავს ის, ვის მოტყუებას, შეცდენას და შეჩერებასაც მოახერხებდა, ვინც მას კი არა, მის სიბრმავეს დაემორჩილებოდა და ამით ნუგეშს მოჰგვრიდა, კიდევ ერთხელ დაარწმუნებდა, განუმტკიცებდა რწმენას, რომ შეიძლება სიბრმავეც დამკვიდრდეს და იყოს მონათმფლობელი ან კერპი. მაყურებელი მის თვალწინ კარგავს მისი ავანტიურის მთავარ ბერკეტს: უმანკოებას. მას უმანკო მაყურებელი ხელიდან უსხლტება სწორედ იმით, რომ ეს უკანასკნელი შეიცნობს მის სიბრმავეს, ანუ იგი – ჩემი სხეული – მსხვერპლი ხდება საკუთარი ავანტიურის; ან – წარმოსახვის?



ანა მგალობლიშვილი
საფო

ზურაბ ქარუმიძე
წიგნიდან

თხა და გიგრ

ოჰ, ტკბილო ჟამო, სანეტარო!
ტვინზე მედება სურო და
ურთხლის მარადი სიმწვანე,
სული მუხის და ნაძვის რტოებში
მეხლართება,
ვხედავ ჩემსავით დახელთილ დიაცთ –
ირმის ხატულა ტყავი რომ ედებათ
ტანზე,
და გულმუცელი რომ ევსებათ
შლეგი წვენებით... უმი ხორცი
მოშიებიათ...
რძის, თაფლის და ღვინის ნაზავში
ამოვლებულ
ნართეკის კვერთხზე დაჭენაობენ,
საშოს სიღრმემდე ჩაესმით ძახილი
განწვალებული ღმერთისა:
ევოჰე! ბაკხო ქალებო, მოვედით,
მოვედით!
ევოჰე, თქვენში აღვდგები მე, ევოჰე!
მე ვარ ღვინო ჭეშმარიტებისა, ევოჰე!
მე ვარ მთვრალი სისხლი
სიცოცხლისა, ევოჰე!
მე ვარ სიგიჟე!...

ანა მგალობლიშვილი
პეპელა

იმ შენ სამყოფში —
სადაც ერთ დროს კითხვა წაიქცა –
პასუხები თუ ანუგეშე?
თუ თქვი "მოვდივარ"?
შენს გულს ბაგე თუ მოუმრგვალე?
საპასუხოდ მოვდივარო, თუ დასცდა ბაგეს?
ის თუ მოვიდა, ვისაც უკვე აღარ ელოდი?
და თუ მოვიდა, რა დაარქვა შენს სტუმარს ბაგემ?
და ამის მერე რა დაარქვა სიტყვამ შენს ბაგეს?

დათო ბარბაქაძე

წიგნიდან გამგზავრებამდე ერთი წუთით ან ერთი ცხოვრებით ადრე

ანა მგალობლიშვილი
გზის დასაწყისი

არადა, ისინი – ეს ადამიანები – რომლებიც მსგავსნი არიან სიმართლის
და როგორღაც მოწმობენ – რაც დღეს უკვე არსებითია – ღმერთმა უწყის რას,
არიან დროის დასაწყისი ჩვენს მოქმედ იმედში აქედან გასვლისა და გადარჩენისა,
ამ ერთმანეთიდან ერთმანეთში სხვა გზით შეღწევისა, – მაშინ, როცა მთელი ნაპოვნია,
ნაპოვნია წონა, რომელიც უხილავი სისწრაფით ქრება სხეულიდან
და აქცევს მას ზღვრად სიკვდილ-სიცოცხლის, იცავს ყველა წარმავალი ემოციისგან
და კრებს სიცოცხლის გაგრძელებას თავისი თავისკენ,
სადაც ხორბალს წითელი მზის თბილ წყალში ალბობენ,
სადაც იშვიათად, მაგრამ მაინც არსებობენ ადამიანები, –
ოდინდელი ეს ზედაპირები, თავმოყრილები ერთმანეთში, რათა შეექმნათ
სიმძიმე გულის, მოგზაურის შემჩნეულ რღვევებში,
უხსოვარ წარსულში ჩარჩენილი მთლიანობების რღვევებში მათი სიმძიმისა,
წონასწორობის ნაკლებობისა, ადგილებად კრისტალიზებულ
და ერთმანეთით წარმოსახულ ამდენ ზედაპირში, ამდენი ვარდით

დათო ბარბაქაძე

წიგნიდან **არსებითი სვლები**

დათო ბარბაქაძე

კრებულიდან
მხურავი

რაღაც,
რაც გვქვია, –
ჩვენ ვართ.
მაგრამ ქვიშამ თმა არ შეგვიშრო,
არ დაგვიფარა, არ გაგვწირა.

ვემშვიდობებით ხვალინდელ დღეს,
მრავალს, ერთადერთს.
ვემშვიდობებით, პირით – წარსულისკენ,
ისე, რომ აქ ვართ.

უთხრან კედლებმა ჩვენს ჩამქრალ თვალებს
ის, რაც ჩვენმა ხმამ ჩაგვჩურჩულა,
რაც გამოეყო ჩვენი ხვედრის ყოველდღიურობას,
რამაც დაგვივიწყა.

აქ გვტკივა, ზღვასთან, სუფთა ჰაერზე, ყველაფერი,
რასაც აქ არ ვართ.
აქ გვკლავს, უქვიშოდ, უგზო-უკვლოდ, ყველაფერი,
რამაც გაიმარჯვა.

ანა მგალობლიშვილი
ზღვასთან



კახა დემურაძე
სერიიდან ***ბუნების ფრაგმენტები***

ზურაბ ქარუმიძე

წიგნიდან თხა და გიგრ

... – ჩვენი თამაშის უნივერსალური ენა სიტყვამარჯვეა, გარნა აზრი არ მოსდევს არანაირი, იმიტომ რომ მზად არ არის პასუხი გასცეს რადიკალურ შეკითხვებს – შეკითხვებს რომლებიც სცილდებიან ჩვენი თამაშის ფარგლებს, გადიან გარეთ და ჩვენც თან გავყავართ...

კახა დემურაძე
სერიიდან ***ბუნების ფრაგმენტები***

ფოთლებს ხეები აღარ შერჩათ,
მგზავრებს – გზები,
ცრემლებს – თვალები.
ეს, ალბათ, უფრო ზაფხულია,
შეიძლება არის ზამთარი,
ან – გაზაფხული,
ან – შემოდგომა,
ან – წელიწადის ყველა დრო ერთად.
ერთი სიტყვით, ახლა უკვე ყველაფერი ჩვენია და არცაა ჩვენი
ერთი სიტყვით, ახლა უკვე სადღაც სხვაგან ვართ
და გვენატრება ის, რასაც აქ ვართ.

დათო ბარბაქაძე

წიგნიდან გამგზავრებამდე ერთი წუთით ან ერთი ცხოვრებით ადრე

დათო ბარბაქაძე

კრებულიდან **მსურავი**

ბოროტი ენები ამბობენ, რომ მოსალოდნელია ჩვენი ზრდა სულ სხვა მიმართულებით, –
დაახლოებით იქით, საიდანაც ეს ხეები სულაც არ ჩანან,
მაგრამ სადაც არანაკლებ პრაქტიკული პეიზაჟი იცის:
მართალია, იქ ხეების დიდი სიმცირე შეინიშნება
და არც შემოდგომაა მათ წინააღმდეგ კეთილგანწყობილი,
მაგრამ ჩვენად წოდებული ყველა მოთხოვნა ხომ, არაიშვიათად,
ცვალებად ბუნებას ფლობს,
რაც იმას უნდა მოასწავებდეს, რომ გარემო ხშირად ხელს არ უწყობს
ჩვენს კეთილ ნებას,
წასაქცევს ჩვენსკენ და დასაძრახს ჩვენგან.

კახა დემურაძე
სერიიდან ***ბუნების ფრაგმენტები***

კახა დემურაძე *ირემი*

დათო ბარბაქაძე
წიგნიდან
შეჯამების უარყოფა

– მე ვფიქრობ, საგნები, რომლებსაც მოულოდნელი მზერა ეფინება,
უკვე იმაზე მეტს ითხოვენ, ვიდრე შეეძლოთ მოეთხოვათ
მათზე ამ მზერის მოფენამდე, მაგრამ
ამის მიზეზი არც მზერაშია საძიებელი და არც საგნებში, არამედ
სისწრაფეში, რომელიც საგნებს ადგილთან აკავშირებს, მზერას კი –
დროსთან. მაშასადამე, ის არ აკავშირებს ერთმანეთთან
საგნებს და მზერას. არადა, მათი ერთობის შესაძლებლობა
სწორედაც რომ სისწრაფეშია, რომელიც, თავის მხრივ,
შეუძლებელია მოულოდნელობის გაუნეიტრალებლად,
იქ და იმწამს, სადაც შეხვედრა გათამაშდა. ასე
თავისუფლდება თვალი სიძველისგან და ივსება სიახლით, რაც
სხვა არაფერია, თუ არა სიძველეზე ნოსტალგიის
რეალიზების იდუმალი ვნება, რომელიც მარადჟამს უნდა იქებოდეს
და იდიდებოდეს იმ ადამიანების მიერ, რომლებიც
სიცოცხლის ერთ მესამედს ძილში ატარებენ, და ასეც ხდება,
რაც, საცნაურყოფის შემთხვევაში, მადიდებელი ადამიანების
დიდებად შემობრუნდება ხოლმე, გაუცნობიერებელი კი, უბრალოდ,
თავის დროს გამოჭამს და კვდება. თუმცა
ჯერ სიტყვა უნდა ითქვას, მერე სიტყვა მზერად შემკვრივდეს, მერე კი
მზერამ საგნები წარმოქმნას. მაგრამ
ვის მიერ უნდა ითქვას სიტყვა? რა თქმა უნდა, იმ
საგნების მიერ, რომლებითაც მოფენილია ჩვენი გრძნობის
ყოვლად უსაგნო ტერიტორია, ყოვლად ცვალებადი ველი.

დათო ბარბაქაძე

დაიბადა 1966 წელს თბილისში. 1991 წელს დაამთავრა თსუ-ის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. 1992-94 წლებში სწავლობდა ასპირანტურაში (თსუ-ის სოციოლოგიის კათედრაზე), რომელიც ნებაყოფლობით მიატოვა. 1991 წელს დააარსა სალიტერატურო ვიდეო-ჟურნალი „დათო ბარბაქაძის ჟურნალი" (პრეზენტირდა ექვსი კომპლექსური და ამდენივე პერსონალური ნომერი). 1994 წელს დააარსა სალიტერატურო ჟურნალი „პოლილოგი" (გამოიცა ოთხი ნომერი). 1996 წელს დააარსა სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთი „±ლიტერატურა" (გამოიცა ოთხი ნომერი). 1991-დან 1996 წლამდე დედაქალაქის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში კითხულობდა სალექციო კურსებს ფილოსოფიის შესავალში, ფილოსოფიის ისტორიასა და ესთეტიკაში. 1996-დან 2001 წლამდე უძღვებოდა ლოგიკის კურსს თბილისის სასულიერო სემინარიასა და აკადემიაში. გამოცემული აქვს ოცი წიგნი (პოეზია, პროზა, თარგმანი, ესსეისტიკა).

კახა დემურაძე

დაიბადა 1970 თბილისში. დაამთავრა ი. ნიკოლაძის სახ. სამხატვრო სასწავლებელი და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია ფერწერის სპეციალობით. 1994-97წწ. საქართველო გერმანიის საზოგადოების კულტურის ცენტრ „შიმალის" სახვითი სფეროს ხელმძღვანელი, 1997 წლიდან საქართველო-გერმანიის საზოგადოების გამგეობის წევრი. ჯგუფური გამოფენები: ქართველ მხატვართა გამოფენა, ქ. ერფურტი, 1994; სერიიდან „ხაზის რეალიზმი" ქარვასლა, თბილისი, 1995; „ანარეკლი", ხელოვნების მუშაკთა სახლი, თბილისი, 1997, „თეატრი, მითი, წრე", გალერეა „ჰობი", 1998; გოეთეს 250 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა „იფიგენია თავრიდში", გალერეა ორიენტი, 1999; პერსონალური გამოფენა: „ფრაგმენტები", ძველი გალერეა, 2001.

ანა მგალობლიშვილი

დაამთავრა ი. ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებელი და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია ფერწერის სპეციალობით. 1990 წლიდან რეგულარულად მონაწილეს გამოფენებში: თბილისი, მოსკოვი, ათენი. 1997-2002 თბილისის ი. ნიკოლაძის სასწავლებელი, პედაგოგი. 1999-2001წწ. ბიზანტიური და პოსტბიზანტიური მონუმენტების ევროპული ცენტრის სტიპენდიანტი; ათენის უნივერსიტეტის თანამედროვე ხელოვნების კათედრაზე ასპირანტურის კურსები. 2004 წ. დაიცვა დისერტაცია ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობით თემაზე „საეკლესიო მხატვრობის განვითარების თავისებურებები XX საუკუნის დასაწყისის (1900-1921წწ.) საქართველოში; 2002 წლიდან ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის სტაჟორი.

აკა მორჩილაძე

დაიბადა 1966 წელს თბილისში. დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკულტეტი. 1990 წლიდან ამავე უნივერსიტეტის პედაგოგია. პარალელურად ეწევა ჟურნალისტურ საქმიანობას გაზეთ „სარბიელში". სახელი გაუთქვა პირველივე წიგნმა „მოგზაურობა ყარაბაღში". არის მრავალი რომანის და მოთხრობების კრებულის ავტორი. მათ შორის: *ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები (1995); გადაფრენა მადათოვზე და უკან (1998); გაქრები მადათოვზე (2000); აგვისტოს პასეანსი (2001)* და სხვ. მიღებული აქვს არაერთი ლიტერატურული პრემია, მათ შორის პრემია „საბა" *(2003)*.

ვანდა მუჯირი

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფერწერის ფაკულტეტი. მხატვართა კავშირის წევრი. არქიტექტურის ინსტიტუტის კათედრის დოცენტი. კონფედერაციის „კულტურა და ხელოვნება" ერთ-ერთი დამფუძნებელი. 1994 წლიდან დღემდე გალერეა „ჰობი"-ის დირექტორი. მისი ხელმძღვანელობით გალერეა ეწევა აქტიურ საგამოფენო მოღვაწეობას საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.



ოლეგ ტიმჩენკო

დაიბადა 1957 წელს, თბილისში. 1988 წ. დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია, ფერწერის სპეციალობით. 1986 წლიდან მონაწილეობს გამოფენებში. ჯგუფური გამოფენები: თბილისი, გოლონა, N ნარვა, პარიზი, ბუდაბეშტი, პეტერბურგი, შეფილდი, ბრისტოლი, მოსკოვი, ბაზელი, მონტენეგრო, ბერლინი, ვაშინგტონი, ატლანტა, პრაღა, ვენა, სტრასბურგი. პერსონალური გამოფენები: მკვდარი ზღვის რიტმი, შეფილდი, 1992; „მე მიყვარს ეს მიწა", თანამედროვე ხელოვნების გალერეა, თბილისი, 1994; ტყის სულები, პერფომანსი, თბილისი, 1998; თამაში, N-გალერეა,თბილსი, 2000; „Duga", პეტერბურგი, 2001.



ზურაბ ქარუმიძე

დაიბადა 1957 წელს, თბილისში. დაამთავრა თსუ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, ინგლისური ლიტერატურის სპეციალობით. 1984 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე „მახვილგონიერების ფენომენი ჯონ დონის პოეზიაში". პირველი მოთხრობა 1990 წელს გამოაქვეყნა გაზეთში ***ლიტერატურა და სხვა***. 1995 წელს ლიტერატურულ ალმანახში ***ახალი დროება*** დაიბეჭდა მისი პროზაული პოემა ***გიჟი მექუდე***. 1998 წელს გამოვიდა მოთხრობათა კრებული *Opera*; 2000 წელს რომანი ***ღვინომუქი ზღვა***; 2003 წელს რომანი ***თხა და გიგო***. გამოქვეყნებული აქვს რამოდენიმე ნარკვევი ფილოსოფიურ და კულტუროლოგიურ საკითხებზე. იყო ***ახალი დროების*** და ჟურნალ *Georgia/Caucasus Profile*-ის თანარედაქტორი; ამჟამად ინგლისურენოვანი ანალიტიკური ჟურნალის *Caucasus Context*-ის თანარედაქტორია.

ლევან ჭოლოშვილი

დაიბადა 1953 წლის 22 მაისს. 1975 წ. დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. მხატვართა კავშირის წევრი არ ყოფილა. 1976 წელს პირველი გამოფენა სიდამონ-ერისთავის კერძო სახლში (არაოფიციალური) საერთაშორისო გამოფენების მონაწილე: კანის ფესტივალზე – საფრანგეთის პრეზიდენტის პრიზი, 1990; ედინბურგის ხელოვნების ფესტივალი, 1996; ფლორენციის ბიენალე, 2001; ევროპის ბიენალე მანიფესტა, ფრანკფურტი, 2002; ვენეციის ბიენალე, 2004.

გიორგი ჯაფარიძე

დაიბადა 1971, თბილისში. 1990წ. დაამთავრა თბილისი ი. ნიკოლაძის სამხატვრო სკოლა. 1995წ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მონუმენტურ დეკორატიული მოხატვის ფაკულტეტი. 2003წ. საზაფხულო არტ-თერაპიის სკოლა დორნახი (შვეიცარია). 1998-2001 თბილისის რაინდთა საავტორო სკოლაში ხატვისა და ხელოვნების ისტორიის პედაგოგი. 2003 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სამეცნიერო-შემოქმედებითი სექტორის ასისტენტ-ლაბორანტი. 1993 წლიდან მონაწილეობს გამოფენებში. პერსონალური გამოფენები: ფრაიბურგი, 2003, დორნახი, 2003. ჯგუფური გამოფენები: „რომანტიკული ალუზიები", ეროვნული გალერეა, თბილისი, 1996; ომის გვერდით, ცენტრალური მხატვართა სახლი, მოსკოვი, 1997; გია ყანჩელის დღეებთან დაკავშირებული გამოფენა, ბაზელი, 2003.

კატალოგი დაკაბადონდა და დაიბეჭდა გამომცემლობაში ***საარი***

გამომცემელი **ლევან თითმერია**
დიზაინერი **ალექსი კახნიაშვილი**

ჩვენი ჩუმი და შეუქცევადი ისტორიები დახატულია სხვათა მიერ არა კედლებზე და ტილოებზე, არამედ ცაში.

ჩვენი ჩუმი და შეუქცევადი ისტორიების დამხატველთა ჩუმი და შეუქცევადი ისტორიები დახატულია ჩვენს მიერ წყლით და ცეცხლით.

ჩვენთვის უცნობ ამ მხატვართა ბედის შესახებ მოგვითხრობენ ჩვენს მიერ ბევრგან დახატული ისტორიები, გაბნეულები ცაში, გაბნეულები უწყლოდ და უცეცხლოდ.

ჩვენთვის უცნობი ეს მხატვრები კითხულობენ ჩვენს ბედს ძველ, გახუნებულ ისტორიებში, რომლებსაც ისინი აბინავებენ ვიწრო დერეფნებში და აგურით ნაგებ ოთახებში, ცასთან ახლოს.

სხვათა ჩუმი და შეუქცევადი ისტორიები, გასაყიდად გამოფენილი სულ სხვათა მიერ, დახატულია, ჩვენდა გასაკვირად, სულ სხვათა მიერ და უკვე წაკითხულია ჩვენს მიერ სულ სხვაგან და სხვა დროს.

ჩვენ ვიხსენებთ სულ სხვა დროს და სხვაგან შესრულებულ ჩვენს წაკითხვებს და ვხედავთ ჩვენივე ჩუმ და შეუქცევად ისტორიებს, რომლებსაც სხვები ხატავენ სულ სხვაგან და სხვა დროს.

ჩვენი ჩუმი და შეუქცევადი ისტორიები თვალს აღევნებენ მხატვრებს, რომლებმაც ისინი დახატეს წყლით და ცეცხლით ცაში.

ეს მხატვრები ჩვენ არ ვართ.

ეს მხატვრები ჩვენ ვართ.

ჩვენ ვხატავთ სხვათა მიერ დახატულ ჩვენს ჩუმ და შეუქცევად ისტორიებს, რომელთა ბედი უცნობია ჩვენთვის უცნობი მხატვრებისთვის, რომელთა ნახატებს ვაბინავებთ ძველ, გახუნებულ ისტორიებში, ცასთან ახლოს.

ისტორიები, რომლებიც ჩვენთვის უცნობ მხატვართა ბედის შესახებ მოგვითხრობენ, გაბნეულია ვიწრო დერეფნებში და აგურით ნაგებ ოთახებში, რომლებიც უკვე აღარ არსებობენ.

მხატვრები, რომლებიც აღარ არსებობენ, ხატავენ ჩვენს ჩუმ და შეუქცევად ისტორიებს, რომლებიც აღარ არსებობენ და სულ სხვა მხატვრებს, რომლებიც ასევე აღარ არსებობენ, მოუთხრობენ ჩვენი ბედის შესახებ, რომელიც აღარ არსებობს, მაგრამ რომელსაც იხსენებენ სულ სხვა მხატვრები, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობენ.

ჩვენ ვხატავთ ცაში უწყლოდ და უცეცხლოდ გაბნეულ მხატვართა უცნობ ისტორიებს, რომლებიც მოგვითხრობენ სულ სხვა მხატვართა მიერ მოთხრობილ სულ სხვა მხატვართა ისტორიებს, რომელთა გახუნებულ გვერდებზე უკვე აღარ იკითხება ჩვენი ბედი, რომელსაც სულ სხვა მხატვართა ჩუმი და შეუქცევადი ისტორიები შეიცავენ სულ სხვაგან და სხვა დროს.

ჩვენს მიერ ბევრგან დახატული ისტორიები იკითხება წყლით და ცეცხლით ცაში.

ჩვენს მიერ დახატული უხილავი ისტორიები, დახატული ჩვენთვის უცნობ მხატვართა მიერ და გასაყიდად გამოფენილი სულ სხვა ხალხის მიერ, მოგვითხრობენ ვიწრო დერეფანთა და აგურით ნაგებ ოთახთა შესახებ, სადაც ახლა სხვები ცხოვრობენ.

უკვე გამქრალ ამ ისტორიებს კითხულობენ მხატვრები და პოეტები უშუალოდ ცაში.

ეს პოეტები და მხატვრები ჩვენ არ ვართ.

ეს პოეტები და მხატვრები ჩვენ ვართ.

დათო ბარბაქაძე

წიგნიდან ტბის სანაპიროს სიმღერები